



პროგრამის სახელწოდება

თავისუფალი მეცნიერებები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

თავისუფალ მეცნიერებათა ბაკალავრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 ECTS

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

1. სტუდენტს მისცეს კლასიკური საბაზო უმაღლესი განათლება თავისუფალი მეცნიერებების პრინციპებზე დაყრდნობით, ხელი შეუწყოს სტუდენტის ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებად ჩამოყალიბებას და დაეხმაროს სტუდენტს გაიფართოვოს თვალსაწიერი,
2. მოამზადოს სტუდენტი მენტალურად და უნარ-ჩვევებით სწრაფად ცვალებადი საზოგადოებრივი და ეკონომიკური გარემოებების, შრომითი ბაზრის, ინდივიდუალური, ჯგუფური და პროფესიული კვალიფიციური საქმიანობისთვის,
3. განუვითაროს კლასიკური ფილოლოგიისა და მედიევისტიკის, სახვითი და პერფორმატიული [საშემსრულებლო] ხელოვნებების მეცნიერული კვლევისთვის აუცილებელი საბაზო უნარ-ჩვევები და ცოდნა და მოამზადოს შემდეგ აკადემიურ საფეხურზე, მაგისტრატურაში აკადემიური კვლევისთვის.

დასაქმების სფეროები

თავისუფალი მეცნიერებების ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს ჟურნალისტიკის, რეკლამის, PR-ის, დიზაინის, ტელე-კინოს სფეროებში, სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში, შეასრულონ საკონსულტაციო და შემოქმედებითი (კრეატიული) მენეჯერის ფუნქციები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/5 ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ

კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები

ზოგადი კომპეტენციები:

- კრიტიკული ანალიზის, მსჯელობისა და დებატის უნარი;
- მშობლიურ ენაზე პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი;
- უცხოურ ენაზე (ინგლისური) წერისა და კომუნიკაციის უნარი;
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი;
- ჯგუფში მუშაობის უნარი;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
- კვლევის დაგეგმვის, კვლევის განხორციელების, მიღებული შედეგების ანალიზის და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, ნაშრომის გაფორმების და საჯაროდ წარმოდგენის უნარი;
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი.

დარგობრივი კომპეტენციები:

- ესმის თავისუფალი განათლების ბუნება, როგორც ისტორიული, კლასიკური (*artes liberales παιδεία ἐλευθερία*) მნიშვნელობით, ისე თანამედროვე კონტექსტში, იცის მისი სფეროები - თავისუფალი მეცნიერებები (სრული ჰუმანიტარული განათლება [ფილოლოგია, ენები, ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნებები, მედიევისტიკა, აკადემიური კვლევა ჰუმანიტარიასა და ფილოლოგიაში] და გეომეტრიული [თეორიული და გამოყენებითი] დისციპლინები), მათი შესაძლებლობები, შეზღუდვები და გამოწვევები;
- იცნობს ტრადიციული ხელოვნებისა და ჰუმანიტარიის შემოქმედებით, აგრეთვე, მედიევისტიკის, ფილოლოგიისა და ჰუმანიტარიის მეცნიერულ [აკადემიურ] გარემოს;
- იცის და შეუძლია გამოიყენოს ჰუმანიტარიის, ფილოლოგიისა და მედიევისტიკის აკადემიური კვლევის უნივერსალური მეთოდები;
- შეუძლია ვიზუალური, საშემსრულებლო ხელოვნებების და სიტყვიერების უნარების გამოყენება როგორც შემოქმედებითი, ისე საქმიანი და პროფესიული მიზნებისთვის, როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად;
- ჩამოყალიბებული აქვს ხელოვნების და ლიტერატურული ქმნილებების შეფასების კრიტერიუმები;
- ფლობს სათანადო ტერმინოლოგიასა და ნომენკლატურას და, აგრეთვე, შემოქმედებით მიმდინარეობებსა და მეცნიერულ კონცეფციებს, თეორიებსა და ჰიპოთეზებს;
- აქვს დარგის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის და აგრეთვე, პრაქტიკის განზოგადებისა და თეორიტიზაციის უნარი;
- შეუძლია შეძენილი დარგობრივი ცოდნისა და უნარების დამოუკიდებლად გაღრმავება და გაფართოება და აგრეთვე, დარგის ფარგლებში თვისობრივად ახალი ცოდნისა და უნარების შექმნა და განვითარება.

- თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამით მიღწეული შედეგები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, პირველი საფეხურისთვის განსაზღვრულ ექვს კრიტერიუმს.

ცოდნა და გაცნობიერება:

კურსდამთავრებულს ექნება საბაზო ცოდნა თავისუფალ მეცნიერებებში, კერძოდ,

- ეცოდინება საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნებების, ხატვის, არქიტექტურული პროექტირების, გეგმილური ხაზვის, მხაზველობითი გეომეტრიის თეორია და პრინციპები.
- ეცოდინება ლათინური ენის გრამატიკა, ანტიკური მითოლოგია, ჰუმანიტარიასა, ფილოლოგიასა და მედიევისტიკაში კვლევის სტანდარტები
- ეცოდინება კლასიკური რეტორიკის არგუმენტაციის თეორია და სტილისტიკა, ლექსთწყობა და კლასიკური დრამის [ტრაგედიის] თეორია.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- შეეძლება საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნებების, აკადემიური ხატვის, პროექტირების, გეომეტრიული დისციპლინებისთვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენება;
- შეეძლება შემოქმედებითი (კრეატიული) პროცესის მენეჯმენტი, საკონსულტაციო პროცესის წარმართვა, პროექტების დაგეგმვა, მართვა და წარდგენა;
- შეეძლება გუნდური გადაწყვეტილებების მიღებაში აქტიური და ეფექტური მონაწილეობა.

დასკვნის უნარი:

- შეეძლება საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნებების, აკადემიური ხატვის, სამსახიობო ხელოვნების, გეომეტრიული დისციპლინებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებისა, ინტერპრეტაციის და განმარტების უნარი;
- შეეძლება სიტუაციური ანალიზი სათანადო მეთოდების გამოყენებით;
- შეეძლება დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- შეეძლება სიტუაციიდან გამომდინარე, ადეკვატური ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება.

კომუნიკაციის უნარი:

- შეეძლება იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ინფორმაციის ზეპირად გადაცემა, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე;
- შეეძლება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.
- შეეძლება სფეროსთვის დამახასიათებელი საკითხების ირგვლივ დებატებში, დისკუსიებში და საჯარო განხილვებში მონაწილეობის მიღება;
- შეეძლება წერითი და ზეპირი პრეზენტაციის წარმართვა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- შეეძლება გუნდური მუშაობისას წევრებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;
- შეეძლება შემოქმედებითი (კრეატიული) პროცესის მენეჯმენტის წარმართვა.

სწავლის უნარი:

- შეეძლება საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
- შეეძლება შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- შეეძლება სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლება;
- შეეძლება შემენილი ცოდნის მუდმივი განახლება და ცვალებად ინფორმაციასთან ინტეგრირება.

ღირებულებები:

- შეეძლება მონაწილეობის მიღება ღირებულებების ფორმირების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.
- შეეძლება განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- განუვითარდება განსაკუთრებული პატივისცემა, ღირებულებითი დამოკიდებულება ევროპული კლასიკური ტრადიციისა, ხელოვნებისა და კულტურისადმი.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, პირველადი წყაროსა და მეორადი ლიტერატურის კრიტიკულ-ფილოლოგიური კვლევა, ანალიტიკური მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები [სავარჯიშოები], პრაქტიკული და შემოქმედებითი მეცადინეობები.

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება ისეთი შეფასების ფორმები, როგორცაა: ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, გამოცდა თეორიაში როგორც წერილობით, ისე ზეპირად, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, პროექტი და სხვა. საშინაო დავალებები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ფასდება და უმრავლეს შემთხვევაში არ ფასდება. თუმცა საშინაო დავალებების შესრულება აუცილებელია იმისთვის, რომ სტუდენტმა შეძლოს მომზადება ტესტებისთვის და გამოცდების ჩაბარება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან:

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება	50
თავისუფალი მეცნიერებების ზოგადი განათლება	22
თავისუფალი მეცნიერებების საბაზო განათლება	47
თავისუფალი მეცნიერებების ძირითადი განათლება	102
თავისუფალი მეცნიერებების პრაქტიკული განათლება	3
არჩევითი საგნები	16
სულ კრედიტების რაოდენობა	240

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული სასწავლო გეგმა.